

ზოონოზური დაავადებების ეფექტური მართვა ერთიანი ჯანმრთელობის
მიდგომის გზით

ნია ხაჩიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,
ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის
ჯანდაცვის მენეჯმენტში აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი: ირმა კირთაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნია ხაჩიძე
10.06.2025წ

აბსტრაქტი

ზოონოზური დაავადებები, როგორებიცაა ბრუცელოზი, ჯილეხი და ცოფი, საქართველოში კვლავ მნიშვნელოვან საზოგადოებრივ და ვეტერინარულ საფრთხედ რჩება. მათი გავრცელება ასახავს უწყებათაშორისი კოორდინაციის სირთულეებს, დაბალ ცნობიერებას და ერთიანი მენეჯმენტის დეფიციტს. აღნიშნული გამოწვევების ფონზე, აქტუალური ხდება ერთიანი ჯანმრთელობის მიდგომის შეფასება, რომელიც მოიცავს ადამიანის, ცხოველისა და გარემოს ჯანმრთელობის კოორდინირებულ მართვას. კვლევის მიზანია განიხილოს რამდენად ეფექტიანად ხდება ბრუცელოზის, ჯილეხის და ცოფის მართვა საქართველოში ერთიანი ჯანმრთელობის მიდგომის ფარგლებში, როგორ ხორციელდება სხვადასხვა სფეროს, ადამიანთა ჯანმრთელობის და ვეტერინარიის, თანამშრომლობა ზემოაღნიშნული ზოონოზური დაავადებების პრევენციისა და კონტროლის პროცესში. შეფასდეს არსებული პოლიტიკა, სამართავი მექანიზმები და პრაქტიკული სამუშაოები, რათა გამოიკვეთოს სისტემური ძლიერი და სუსტი მხარეები. კვლევის მთავარ ამოცანებს წარმოადგენს, გამოავლინოს სისტემური ხარვეზები სექტორებს შორის თანამშრომლობაში და პრევენციულ ღონისძიებებში, შეისწავლოს როგორ აისახება ცხოველთა დაავადებების კონტროლი ადამიანების ჯანმრთელობაზე. წარმოადგინოს რეკომენდაციები, ზოონოზური დაავადებების ეფექტური პრევენციისა და მართვისათვის ერთიანი ჯანმრთელობის ინტეგრირებული მიდგომით. კვლევა ეფუძნება 2020-2024 წლის აღწერილობით ეპიდემიოლოგიურ ანალიზს და ასევე თვისობრივ კვლევას, რომლის ფარგლებში ონლაინ ინტერვიუების საშუალებით გამოიკითხა 5 რესპონდენტი: 3 ჯანდაცვის ეპიდემიოლოგი და 2 ვეტერინარული ეპიდემიოლოგი. კითხვარი შედგებოდა 6 ღია კითხვისაგან.

ზოონოზური დაავადებების, განსაკუთრებით ბრუცელოზის, ჯილეხისა და ცოფის, გავრცელების ანალიზმა საქართველოში აჩვენა, რომ მიუხედავად გარკვეული

პროგრესისა, დაავადებათა კონტროლის სისტემა ფრაგმენტულად და არასაკმარისად კოორდინირებულია. გამოვლინდა ერთანი თანამშრომლობის ნაკლებობა, რაც ზღუდავს დროულ რეაგირებას და პრევენციულ ღონისძიებებს. ერთიანი ჯანმრთელობის მიდგომის სრული ინტეგრაცია ჯერ კიდევ გამოიწვევად რჩება, რაც აფერხებს როგორც ადამიანების, ისე ცხოველების ჯანმრთელობის დაცვას. ზოონოზური დაავადებების ეფექტიანი მართვისათვის აუცილებელია ერთიანი ჯანმრთელობის მიდგომის ინტეგრირებული დანერგვა, რომელიც ეფუძვნება ვეტერინარული, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და გარემოს დაცვის სექტორების კოორდინირებულ მუშაობას. რეკომენდებულია ერთიანი მონიტორინგისა და რეაგირების მექანიზმების შექმნა, მონაცემთა გაზიარების გამარტივება. მნიშვნელოვანია საერთაშორისო წარმატებული გამოცდილების გაზიარება და არსებული საკანონმდებლო ჩარჩოს გაძლიერება, რაც ხელს შეუწყობს ზოონოზური რისკების შემცირებას და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას.

საძიებო სიტყვები: ერთიანი ჯანმრთელობა, ზოონოზური დაავადებები, ზოონოზების მართვა, საზოგადოებრივი ჯანმრთელობა, ვეტერინარია.

Abstract

Zoonotic diseases such as brucellosis, anthrax, and rabies continue to pose significant public health and veterinary threats in Georgia. Their persistence reflects the challenges of intersectoral coordination, low public awareness, and a lack of integrated management systems. In light of these challenges, it becomes increasingly relevant to evaluate the One Health approach, which emphasizes the coordinated management of human, animal, and environmental health. This study aims to assess the effectiveness of brucellosis, anthrax, and rabies control in Georgia within the framework of the One Health approach. It examines the collaboration between different sectors—particularly public health and veterinary services—in the prevention and control of these zoonotic diseases. The research evaluates existing policies, management mechanisms, and practical measures to identify the systemic strengths and weaknesses. The main objectives of the study are to reveal gaps in intersectoral collaboration and preventive actions, to explore how the control of animal diseases impacts human health, and to present recommendations for the effective prevention and management of zoonotic diseases through an integrated One Health approach. The research is based on a descriptive epidemiological analysis covering the years 2020–2024, complemented by a qualitative study that involved online interviews with five respondents—three epidemiologists and two epidemiologist-veterinarians. The questionnaire consisted of six open-ended questions. The analysis of the spread of zoonotic diseases—particularly brucellosis, anthrax, and rabies—in Georgia has revealed that, despite certain progress, the disease control system remains fragmented and insufficiently coordinated. A lack of unified collaboration has been identified, limiting timely response and preventive measures. Full integration of the One Health approach continues to pose a challenge, hindering the protection of both human and animal health. Effective management of zoonotic diseases requires the integrated implementation of the One Health approach, which relies on coordinated efforts between the veterinary, public health, and environmental protection sectors. It is recommended to establish unified monitoring and response mechanisms, and to simplify data-sharing processes. Additionally, the adoption of successful international practices and the

strengthening of the existing legislative framework are crucial steps toward reducing zoonotic risks and safeguarding public health.

Keywords: One Health, zoonotic diseases, zoonosis management, public health and veterinary services.